

ირაკლი ღარბაშვილი - რამდენიმე წელიწადში განათლების ისეთი სისტემა იქნება, რომელიც 21-ე საუკუნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს

თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში განათლების სფეროს განვითარების 10-წლიანი გეგმის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარბაშვილი. მისი თქმით, განათლება ხელისუფლებას მთავარ პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული. მისივე თქმით, ეს გეგმა მოიცავს განათლების სფეროს ყველა კომპონენტს.

“დღეს ჩვენ განსახილველად გამოგვქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი ხედვა. მინდა გითხრათ, რომ პირველად შეიქმნა განათლების განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც მოიცავს განათლების სფეროს ყველა კომპონენტს - სკოლამდელ ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, მეცნიერების განვითარებასა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფას. ამ საქმეში დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიო ბანკს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. სწორედ მათი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი სისტემის სრული კვლევა”, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარბაშვილის თქმით, განათლებისა და მეცნიერების სისტემის შესწავლამ გამოაჩინა, რომ არათანამედვერული რეფორმების გატარება და არასისტემური მიდგომა ის მთავარი ფაქტორებია, რომლებიც აფერხებდა განათლების სექტორის განვითარებას. მისივე თქმით, სწორედ ამ მიზნით, განათლების სექტორის შემდგომი სტრატეგიული განვითარებისთვის, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები.

“დღეს სამსჯავროზე გამოგვქვს განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც, დანერგული ვარ, ფართო საზოგადოების მსჯავრობის საგანი გახდება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, დისკუსია და შეთანხმება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს განათლების სისტემა ჩვენს ქვეყანაში და რა სტრატეგიითა და გეგმით უნდა ვიხელმძღვანელოთ. განათლება არის ის, რაც აბსოლუტურად ყველა ჩვენგანს ეხება და შესაბამისად, ყველას საზრუნავია.

დღევანდელი პრეზენტაციის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, გაიმართება დისკუსია და განხილვა. ამის შემდეგ დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა ამ დოკუმენტს, რომელიც გახდება სამოქმედო გეგმა ჩვენთვის. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია მსოფლიოს მონივრე ქვეყნების გამოცდილება, მასში განვიხილავთ განათლების სფეროში არსებული გამოწვევები და ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს, გაზარდულია ევროგაერთიანებისა და ევროსაბჭოს რეკომენდაციები”, - განაცხადა ღარბაშვილმა.

მისივე თქმით, ეს დოკუმენტი ეყარება “საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020”-ით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს - დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას.

“ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება. განათლების წარმოდგენილი სტრატეგია ითვალისწინებს კვლევას და სწავლების ერთიანობის აღდგენას და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მეცნიერების სტატუსის განსაზღვრას. მოგეხსენებათ, საქართველოს მსოფლიო დონის მეცნიერები ჰყავდა და დღესაც ჰყავს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობენ. აუცილებელია მათი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება. ძალიან მნიშვნელოვანია ახლავ ევროკავშირის ევროპული დაფუძნებით ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდის საქმეს. ჩვენ საამისოდ დიდი პოტენციალი გვაქვს, გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა სჭირდებათ. შარშან გადავიდა პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით - 157 დოქტორანტმა მიიღო საკმაოდ მოცულობითი სახელმწიფო გრანტი, რამაც მათ საშუალება მისცა სრულფასოვნად გაეგრძელებინათ სამეცნიერო კვლევა. ასეთი მხარდაჭერა მომავალშიც გავრცელდება და კიდევ უფრო გაიზრდება”, - აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, ხელისუფლების ვალია, ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, რომ მიიღოს ხარისხიანი განათლება.

“შობილს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი შვილი სკოლაში საფუძვლიან და ხარისხიან განათლებას იღებს. მოგეხსენებათ, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპული კვალიფიკაციების სააგენტოსთან, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ხარისხის კონტროლისა და შეფასების სისტემა მთლიანად იქნება ევროპაში არსებული სტანდარტების შესაბამისი. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, იმას, რომ ჩამოყალიბდება გამჭვირვალე და თანამედროვე მართვის სისტემა, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოში გაცემული დიპლომი და კვალიფიკაცია აღიარებული იქნება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში”, - აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფო წარმოუდგენელია განვითარებული ეკონომიკის გარეშე, რომელიც ეფუძნება კვლევებსა და ინოვაციაზე დამყარებულ ცოდნას.

“თქვენ ყველაზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ მხრივ წამყვანი როლი ენიჭება უმაღლეს განათლებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტში ნინა პლანზეა ნამოწვეული შრომის ბაზარზე ორიენტირებული უმაღლესი და დანერგვითი პროფესიული განათლება. წარმოდგენილი განათლების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ სამოქალაქო ცნობიერების განვითარება. სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო განათლებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას, აგრეთვე დემოკრატიის პრინციპების გაცნობიერებას”, - აღნიშნა ღარბაშვილმა.

მისივე თქმით, წარმოდგენილი სტრატეგიით სულ რამდენიმე წელიწადში იქნება განათლების ისეთი სისტემა, რომელიც 21-საუკუნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ეს იქნება კიდევ ერთი პირობა იმისათვის, რომ საქართველომ თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მონივრე ქვეყნებს შორის.

დედოფლისწყაროში 800 ოჯახის სათბობის თანხას მიიღებს

სოციალურად დაუცველი მოსახლეობა სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით თანხას მიიღებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნევრებმა 20 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე მიიღეს. სოციალურ პაკეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შესაბამისი კატეგორიის 800 ოჯახი ას ლარს მიიღებს. გამგეობის სოციალური დახმარების სამსახურის უფროსის ნონა ნატროშვილის განმარტებით, „აღნიშნულ თანხას მიიღებენ ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა პენსიონერები“.

ეს პროგრამა რამდენიმე წელია, რაც ხორციელდება და მეორე წელია, სოციალური პაკეტის ეს მუხლი საგრძნობლად გაიზარდა და მეტი ოჯახის შემთხვევაში უზრუნველყოფას ხმარდება. 2011 წელს გათბობის თანხა 400-მა ოჯახმა მიიღო, 2012 წელს-750 ოჯახმა, 2014 წელს კი თანხა გაორმაგდა და 800 ოჯახი შეადგინა.

გამწვანებისა და დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროში



15 ნოემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა გამწვანებისა და დასუფთავების აქცია ორგანიზაციის „მწვანეთა მოძრაობა - დედამინის მეგობრები - საქართველო“, მხარდაჭერით, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს პროექტს „დავასუფთავოთ საქართველო“.

დასუფთავდა ქალაქის სკვერები, საბავშვო ბაღების, ორგანიზაციათა ეზოები, ქორების ტბის და წმინდა ელია თეზბიტელის მთის მიმდებარე ტერიტორია , აქვე, ორ ჰექტარზე დაირგო ოთხი ათასი ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგები .

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის სოლომონ ღარბაშვილის განცხადებით, დღეისათვის, გაუდაზნოების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება , მათი გააქტიურება და ჩართულობა მსგავსი ტიპის ღონისძიებებში.

აქციაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს და საჯარო სამსახურების თანამშრომლებთან ერთად ქალაქის საჯარო სკოლების პედაგოგებიც მონაწილეობდნენ. სამოქალაქო გარემოსდაცვითი აქტიულობაში ასევე აქტიურად ჩაერთნენ სოფლებიც. მათ გაასუფთავეს და მყარი ნარჩენებისაგან განმინდეს დანაგვიანებული ადგილები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, გამწვანების აქციის ფარგლებში, იფინის, საპნის ხისა და თრიმლის სახეობის 6100 ნერგი დაირგო.

ზრეზიდენტმა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით 121 ჰატიმარი შეიწვალა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით შეწყალის აქტს მოაწერა ხელი. პრეზიდენტმა 732 საქმიდან მხოლოდ 121 დააკმაყოფილა. 93 მსჯავრდებული საპატიმროებს დღის განმავლობაში დატოვებს. პრეზიდენტის შეწყალის აქტით სასჯელი შეუმსუბუქდა 28 ჰატიმარს. აქედან, ნაწილს სასჯელის ვადა გაუნახევრდა.

შენწყალბულ მსჯავრდებულთა შორის 3 არასრულწლოვანი და 3 ქალია.

„კომისიამ, რომელიც შემოაბდა 14 და 15 ნოემბერს, სულ განიხილა 732 მსჯავრდებულის საქმე, მათგან 350 საქმე იყო განხილული არსებითად სხვა საქმეები არ აკმაყოფილებდა არსებითი განხილვისთვის საკმარის კრიტერიუმებს“, - განაცხადა შეწყალის კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ.

ვის დარჩება „გასაღები“?

ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტის გარშემო დავა და დისკუსია არ წყდება. მეტიც, გაიზარდა იმ კანონპროექტების რაოდენობა, რომელიც ე.წ. გასაღების საკითხს ეხება. ამჯერად ერთი ნაცვლად საკანონმდებლო ორგანოში სამი კანონპროექტის განხილვა მოუწევთ. ვის ხელში უნდა იყოს გასაღები და, საერთოდ, რამდენი გასაღები უნდა იყოს? ეს ის კითხვებია, რომლებიც დღეს ყველაზე მეტად ისმის როგორც კანონპროექტზე მომუშავეთა წრეებში, ისე ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანების მხრიდან. შინაგან საქმეთა სამინისტრო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თუ სასამართლო და კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიები? ან იქნებ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია? - ეს ის უწყებებია, რომლებსაც სამი სხვადასხვა კანონპროექტის ავტორები გასაღების შესაძლო მფლობელებად ასახელებენ.

ერთ-ერთი კანონპროექტი, რომელიც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს, საპარლამენტო უმრავლესობის ნევრებს ეკა ბესელიას, ირაკლი სესიაშვილსა და გედევან ფოფხაძეს ეკუთვნის. სწორედ მათ მიერ დაჩქარებულ ვადებში შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, უნდა დარჩეს კვლავაც შსს-ს ხელში ფარული მოსმენების ერთი გასაღები, მეორე გასაღები კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გადაეცემა, თუმცა მოსმენის უფლებას სასამართლო გასცემს. კანონპროექტის არსს მისი ერთ-ერთი ავტორი, ეკა ბესელია, განმარტავს:

„ორი გასაღების მოდელი იქნება შეთავაზებული - შსს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, მაგრამ პრინციპი არის ის, რომ ორივეს ერთდროულად და ერთმანეთის გარეშე, იმავდროულად, არ ჰქონდეთ შესაძლებლობა ამ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისა. სასამართლო იქნება ამ ყველაფერში მთავარი ინსტიტუცია, რომელიც გასცემს მიყურადების ნებართვას“.

„ძალოვანი უწყების ხელში რომ არ უნდა იყოს ე.წ. გასაღები, ეს ცალსახაა“, - ასე ფიქრობს ლაშა ტულუში, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი და ფარული მიყურადების შესახებ დაწერილი სამი კანონპროექტიდან ერთ-ერთ კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრი. „გასაღებია, რომ შსს-ს ეს სურვილი აქვს დასაბუთება, რომ მას არ სურს ამ ბერკეტის დათმობა. მე მიმაჩნია, რომ გასაღები არ უნდა დარჩეს შსს-ს ხელში, რადგან ამ შემთხვევაში მათ ხელში ეს ბერკეტები არის ძალიან დიდი რისკი და ძალიან დიდი საფრთხე, რომ დაირღვევა ადამიანის უფლებები და დაირღვევა მასობრივი სახით“.

ლაშას მსგავსად ფიქრობს ეკა გიგაურიც, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დირექტორი და არასამთავრობო სექტორის მიერ შემუშავებული ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტის კიდევ ერთი ავტორი. მათ მიერ შექმნილი კანონპროექტის თანახმად, აუცილებლად უნდა აბუშაყდეს ე.წ. ორგანოების სისტემა, თუმცა ერთი გასაღები უნდა იყოს სასამართლოს ხელში, მეორეს კი კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიები უნდა ფლობდნენ. ეკა გიგაურის თქმით, ახალი კანონპროექტების განხილვა მეტყველებს იმაზე, რომ ამ საკითხზე ხედვის ჩამოყალიბებას, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას და სტენარზე შეთანხმებას არ სჭირდება დიდი დრო და გადაწყვეტილების მისაღებად სულაც არ იყო ის ექვსთვიანი ვადა საჭირო, რომელიც უმრავლესობამ გასული თვის ბოლოს მოითხოვა, რამაც შექმნა საშიშროება, რომ ფარული მიყურადების გასაღები კიდევ ექვსი თვით შსს-ს ხელში დარჩენილიყო.

თავის მხრივ, უმრავლესობას აქვს კითხვები და პრეტენზია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ კანონპროექტთან და ისინი კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიებისთვის გასაღების გადაცემის წინააღმდეგ გამოდანი. მმართველი გუნდის ნევრები მიიჩნევენ, რომ მობილური ოპერატორები უცხო ქვეყნის კომპანიები არიან და მათ ხელში გასაღების არსებობა საფრთხის შემცველია.

საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტის კიდევ ერთი ვარიანტი. ის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმაღამეს ეკუთვნის. მის მიერ შექმნილი კანონპროექტის თანახმად, ფარული მოსმენების „გასაღები“ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელში გადადის. სწორედ კომუნიკაციების კომისიაში იქნება დაცული ელექტრონული კომუნიკაციების ე.წ. მაიდენტიფიცირებელი მონაცემებიც. ამავე პროექტის მიხედვით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ლიად რჩება საკითხი მეორე „გასაღებთან“ დაკავშირებით.

ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტების გარშემო შექმნილ დისკუსიას 19 ნოემბერს გამოეხმაურა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი. მისი განცხადებით, ფარული მოსმენებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვის ხელში იქნება ე.წ. გასაღები, არამედ ის, არსებობს თუ არა დამოუკიდებელი დამცავი საშუალებები, რათა ის მიზნობრივად იქნეს გამოყენებული.

გასული თვის ბოლო დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო იმ ცვლილებებს ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონში, რომელიც პარლამენტმა 30 ოქტომბერს შეიტანა და რომლის თანახმადაც შსს-ს მომავალი წლის თებერვლამდე გაუხანგრძლივდა კანონიერი ფარული მიყურადების უფლება. იმავე დღეს კი, რამდენიმე საათში, გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ნაცვლად მომავალი წლის 28 თებერვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონიერი ფარული მიყურადების უფლება პირველ დეკემბრამდე უნარჩუნდება. კანონპროექტების განხილვა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფს უმოკლეს დროში მოუწევს. საკანონმდებლო ორგანომ პირველ დეკემბრამდე უნდა გაარკვიოს და დამტკიცოს, ვის დარჩება გასაღები ფარული მიყურადების შესახებ.

მსოფლიო ბანკი დედოფლისწყაროში მიწის რეგისტრაციის გაუმჯობესებას დააფინანსებს



The World Bank

50 მილიონი აშშ დოლარი ირიგაციის სისტემის რეაბილიტაციასა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტს მოხმარდება. საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის დაფინანსების შესახებ“. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ.

დოკუმენტი ითვალისწინებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ (IDA) საქართველოსთვის დაახლოებით 50 მილიონი აშშ დოლარის (SDR 32,400,000) ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, რომელიც რამდენიმე რაიონში განხორციელდება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქვემო სამგორის, თბილისი-კუმისის და ზედა რუს ცენტრალურ საირიგაციო არხებს, საიდანაც სხვადასხვა რაიონები მომარაგდება.

პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია რამდენიმე საპილოტე ადგილას, მათ შორის დედოფლისწყაროსა და გურჯაანში, გორში, მცხეთაში და თიანეთში მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება, რაც მოსახლეობას პირობებს გაუმჯობესებს.

პროექტის შედეგად, სარგებელს მიიღებს სოფლად მცხოვრები დაახლოებით 31 000 ოჯახი. გარდა ამისა, 19 000 ოჯახი, რომელთაც მიწის რეგისტრაციისთვის შერჩეულ საპილოტე რაიონებში არარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გააჩნიათ, გაუმჯობესებული წესებით და პროცედურებით ისარგებლებენ - მათ საკუთარი ნაკვეთების დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცემათ.

პროექტს განხორციელებენ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორთა პროექტების მართვისა და მონიტორინგის სამმართველოს მეშვეობით, ასევე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR). ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ სოფლის მეურნეობისა და იუსტიციის მინისტრების მოადგილეები.

საქართველოში სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემა დაინერგება

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის განცხადებით, საქართველოში სათესლე და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემა ინერგება. სისტემა მოიცავს როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივი წარმოების სათესლე და სარგავი მასალის სერტიფიცირებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, თესლის სერტიფიცირება მოსავლიანობის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. მოსავლიანობის ზრდა კი სოფლად შემოსავლის ზრდას და სიღარიბის შემცირებას შეუწყობს ხელს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო წლებში სასურსათო წარმოება შესამჩნევად გაიზარდა, თუმცა დარგის ერთ-ერთი მთავარი სირთულე ფართობის მიხედვით მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელია. სამინისტროს ცნობით, ამის ძირითადი მიზეზი სათესლე

და სარგავი მასალის დაბალი ხარისხია.

თესლის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს, მონაწილეებს სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის საქართველოსთვის ოპტიმალური საპილოტე ვერსია წარედგინათ. სამინისტროს ინფორმაციით, დისკუსიის შედეგად წამოჭრილი საკითხები და მიღებული კომენტარები დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების დროს იქნება გათვალისწინებული.

სამუშაო შეხვედრა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მხარდაჭერით გაიმართა. მას მეთესლეობის სერტიფიცირების სისტემის ფორმულირებაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და მეცნიერები დაესწრნენ.

ოთარ დანელია: კლიმატის ცვლილების უაღრესად ნარკოტიკული სირთულეების დასაქვავად ქმედითი ღონისძიებები განხორციელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის ორგანიზებითა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, კონფერენცია - „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა საქართველოში“ - გაიმართა.

კონფერენციაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ საკუთარ გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში ცალსახადაა აღნიშნული გლობალური კლიმატური ცვლილებების საწინააღმდეგო პრევენციული და საადაპტაციო ზომების შემუშავების აუცილებლობა და შემდგომ მათი განხორციელების უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

„მოგესხენებათ, კავკასია საერთაშორისო მნიშვნელობის ეკო-რეგიონია. უმნიშვნელოვანესია კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი სირთულეების დაძლევისა და უნიკალური ეკოსისტემების შენარჩუნებისთვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. ჩვენ უნდა შევძლოთ ქვეყანაში თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების აქტიური ჩართულობა“, - განაცხადა ოთარ

დანელიამ.

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებასა და ადამიანებზე. ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმედ გამოვლინდეს მომავალში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მომავალი გამოწვევების საპასუხოდ და საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, შემუშავდეს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიდგომები.

კონფერენციაზე აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თამაზდომარემ, გიგლა აგულაშვილმა აღნიშნა, რომ აგრარულ საკითხთა კომიტეტში ქარსაფარი ზოლის შესახებ კანონპროექტი მუშავდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში კლიმატური პირობები დამძიმდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის აგრარულ საკითხთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრებმა, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებმა, ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეგიონული ოფისის, დონორი ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოები წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა.

კონფერენციაზე შემუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც უახლოს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

პროექტები, რომლებმაც ქართული სოფელი უნდა გააძლიეროს

„დაახლოებით 70 მილიონი ლარი მართო მელიორაციის მიმართულებით დაიხარჯება“

(პირველი გვერდიდან)

იყოს დაცული. თუ დღეს საქართველოში მოწვეული ხორბალი მოხმარების 10 პროცენტს აკმაყოფილებს, მისი რაოდენობა უნდა გაზარდოს 30 და 40 პროცენტამდე, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მინიმალური ნორმები მაინც იყოს დაცული.

- არანაკლები სატიკვარი და პრობლემაა სარწყავი სისტემები. როგორც ვიცით, სამინისტრო სარწყავი სისტემების რეაბილიტაციასაც აპირებს.

- კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გავიმეორებ, რომ ჩვენ ვაპირებთ ყველა იმ რაიონის წყლით უზრუნველყოფას, სადაც ამის ფიზიკური შესაძლებლობა იქნება. ბოლო წლებში სამელიორაციო სისტემა მოიშალა, დაზიანდა, გაიძარცვა, ზოგი მწყობრიდანაც გამოვიდა და ა.შ... ამის გამო

სამწუხარო რეალობის წინაშე დავდებით, მაგრამ ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. აქ საუბარია ძველ, ამორტი-



ზირებულ მაგისტრალზე, მათი რეაბილიტაცია უნდა შევძლოთ, რომ წყალი მივიდეს ყველგან, სადაც ამის საჭიროებაა. მართალია, ამასაც დრო სჭირდება, მაგრამ პრო-

ცესი უკვე დანყებულა, მიმდინარე წელს უკვე 88 ათას ჰექტარამდე ფართობი იქნება წყლით უზრუნველყოფილი,

ლაბორატორიული შესწავლა, მისი კვლევაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ნიადაგს სწორი კვება სჭირდება-

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გლეხებმა ნიადაგის სწორად, პროპორციულად მორწყვა დაიწყონ. კიდევ ერთი, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ, სარწყავი წყლის

თუ წყალი არასწორად იქნება მიწოდებული, მას დამატებითი ღონისძიებები დასჭირდება და თუ ნიადაგი სწორი რაოდენობით, სწორი მეთოდოლოგიით მოიწვევა, ეს მის

წყაფიერებას გაზრდის. ეს მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველოში ახლა ინერგება. მელიორაციის მიმართულებით ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ. გამოცხადდება ტენდერები, გვეხმარებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მეგობარი ქვეყნებიც ხელს გვიწვდიან საკმაოდ დიდი სამელიორაციო პროექტების განხორციელებაში. სადაც საჭიროა დამშრობი სისტემები, სადაც კი, პირიქით-სარწყავი და ამის მიხედვით უნდა ვიმუშაოთ. ეს პროექტები პრაქტიკულად ყველა რაიონში განხორციელდება. სადაც დაჭაობებულია, იქ დამშრობი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, მაგრამ სადაც წყალი აკლიათ, იქ სარწყავი სისტემები უნდა დაინერგოს. მომავალ წელს დაახლოებით 70 მილიონი დაიხარჯება მართო მელიორაციის მიმართულებით.

ისინი კულტურაში გაწეული ღვაწლისთვის დაფასდნენ

გულწრფელად რომ გითხრათ, სიტყვა კულტურაზე დაფიქრება ამ დღეებში მომინა, როდესაც დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში ერთი არაჩვეულებრივი ღონისძიება ვნახე და უფრო ძლიერად შევიგრძენი კულტურის მუშაკების ფასი. მინდოდა ამ სიტყვის სრული გაგების ამოხსნით, ის ამაგი გადმომეცა კარგად და ნათლად, რასაც კულტურის სამსახურის წარმომადგენლები აკეთებენ საზოგადოებისთვის. ტერმინი „კულტურა“ XVII საუკუნიდან იხმარება. მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სამუელ პუფენდორფმა (1632-1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. მე კი, მიმაჩნია, რომ - ის, რაც ადამიანის გულს, გონებას და ხელს შეუქმნია, ყველაფერი ერთად აღებული ჩვენი კულტურა, ჩვენი მეობა და თაობებიდან მიღებული ტრადიციებია. რამდენადაც მრავალმხრივია კულტურა, იმდენად რთული და ცვცხლთან თამაში ამ სფეროში ყოფნა, მოღვაწეობა და ყველაზე მთავარი ხალხში სიყვარულის დამსახურების და აღიარების მიღწევა. უნდა შექმნა და შექმნილი გულის ძარღვთან ისე გაატარო, რომ სხვასაც ასიამოვნო და მათი სულის სიმი ისე შეარხიო, რომ მალამოდ

რომ ამ ხალხისთვის ერთხელ მაინც მოგვეწყო რაიმე დასამახსოვრებელი და აი, დადგა ეს დღეც! - ამბობენ გაზეთ „შირაქთან“ საუბარში დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის მუშაკები მაია ბოსტაშვილი და გია ყაჭაშვილი.

იდეა მუდმივად იყო, თუმცა მას ფრთები მხოლოდ ნონა ჯიბლაშვილის კულტურის ცენტრში ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე მოსვლის შემდეგ შეესხა.

სცენაზე ცისფერი სამოსით დგას კულტურის სახლის დირექტორი, არაჩვეულებრივი ქალბატონი, ამ ღონისძიების სცენარის ავტორი და წამყვანი ქალბატონი ცარო მარტიამელი, რომელიც გვამცნობს, რომ ღონისძიება სახელწოდებით „ამაგდარნი“ გახსნილად ცხადდება. შემდეგ დიდ ეკრანზე იმლება ფილმი. ეს გახლდათ ვიდეო ჩანაწერის ფრაგმენტები და ფოტო კოლაჟი, სადაც ჩვენი რაიონის ღვაწლმოსილი თეატრის მსახიობების ნათამაშები სცენები ასახული. შემდეგ კი საკამოდ დიდი დრო ეთმობოდა ღვაწლმოსილი მუშაკის და თეატრის მსახიობის ნინა ყორიაშვილის საუბრის ჩანაწერს, რომელიც მთელი დედოფლისწყაროს თეატრის ისტორიას დაწვრილებით მოგვითხრობს. მთლიანობაში ფილმის ავტორი და რეჟისორი, ამავე დროს აღნიშნული ღონისძიების სცენის

დეკორატორი კულტურის ცენტრის თანამშრომელი გია ყაჭაშვილი გახლდათ. ღონისძიების მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა მუსიკოსს ნინო ნიკვაშვილს და მამუკა უთრუთაშვილს. სცენის განათება - ვარლამ ქადაგიძეს.

კულტურის ცენტრის სპეციალისტმა ლელა ბილიაშვილმა საზოგადოებას ლექსი წაუკითხა. შემდეგ კი, სცენა ხალხური სიმღერის გუნდს „ხორნაბუჯს“ (ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე) დაეთმო. სცენაზე წარსდგნენ ახლადშექმნილი ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და სიმღერის სკოლის გუნდი გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მასყურებელს ორი სიმღერა შეუსრულეს. მშვენიერი გამოსვლა ჰქონდათ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ტრიოს, დებს ლოლაშვილებს, რომლებმაც საესტრადო სიმღერები შემოგვათავაზეს. შემდეგ კი, სცენა სტუდია „არლევკონოს“ მცირეწლოვან ბავშვებს დაეთმო, რომელთა გამოსვლამ ყველაზე დიდი მუსიკის შემოიტანა მასყურებელში, (ცხადია, ისინი ამ სცენის მომავალი თაობაა, ჩვენი ნათელი იმედი. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“ (ხელმძღვანელი ზვირა ზუბაშვილი) არაჩვეულებრივი შესრულებით ცეკვა „ქართული“ წარმოადგინა, ხოლო ალექსანდრე გაბრიელაშვილის ანსამბლმა „შირაქი“ ვაჟკაცობის მკვეთრად გამოხატვით ცეკვა „ყაზბეგური“ დადგა. სცენა დაეთმო ასევე დალი ელისაშვილის ხალხური სიმღერების გუნდს „მანდილი“, რომლებმაც იქვე „ცანგალა და გოგონას“ ცეკვაც გაითამაშეს. დიდი მონონება დაიმსახურა დედოფლისწყაროელ მასყურებელში კვარტეტმა „ქალაქური სიმღერები“, (ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე), მათ გაიოზ ხუციშვილის მიერ გიტარის აკომპანიმენტით რამდენიმე სიმღერა შეასრულეს და ამით ახალი სიტყვა თქვეს ჩვენი რაიონის პუბლიკის წინაშე. მამაკაცთა კვარტეტის ხმები გიტარის თანხლებით ხომ ჩვენთვის ახალი და ესოდენ დიდი ფუფუნება გახლავთ. ფანდურის თანხლებით შეასრულა სიმღერა სამრეკლოს ქალთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი). შემდეგ კი, კულტურის სახლის სცენა დაიპყრეს თეატრალური ჯგუფის ახალგაზრდა მსახიობებმა, (ხელმძღვანელი ცარო მარტიამელი) რომლებმაც სცენაზე ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ბასიანის ბრძოლა“ გააცოცხლეს. მათი შესრულების მანერა, სამოსი და სცენის მხატვრული გაფორმება, ყველაფერი ერთად ნამდვილად



იმედს, რომ ჩვენს რაიონში თეატრი და სასპექტაკლო ცხოვრება კვლავ ცოცხლდება და მომავალში დიდი აღორძინება ელის! ბოლოს სცენაზე მოიწვიეს, თვით ჩვენი კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები. ანსამბლ „ფიროსმანის“ სოლისტი ვასილ ტუხაშვილი და ანსამბლ „ოცნების“ სოლისტი ემზარ ტოკლიკიშვილი, რომლებმაც საესტრადო სიმღერები შეასრულეს.

ცხადია, არ დაგვავინწყდება, რომ ეს ყველაფერი იმ ხალხის საპატივსაცემოდ მოეწყო, ვინც კულტურაში ღვაწლი გასწია და თავისი სიტყვა თქვა დედოფლისწყაროს კულტურის ისტორიის შექმნაში, ვინც ლეგენდარული როლები შექმნეს და თაობები აღზარდეს თავიანთ ნაამბავრზე. ამ სცენაზე ხომ გაცოცხლებულია ვალერიან გუნიას „და-ძმა“, შალვა დადიანის „გეგეჭკორი“, ირაკლი ჭავჭავაძის „ნისლიანი დღეები“, გოდერძი ბესაშვილის „ტირიფის ქვეშ“ ალექსანდრე ჩხაიძის „გამოძიება შეწყვეტილია“, მიხეილ მრეულაშვილის „მეხდაცემული კაკალი“, აკაკი დევითის „სახსოვარი“ და სხვა. სხვადასხვა დროს დედოფლისწყაროს თეატრის რეჟისორობა იტვირთეს აკაკი ინჯიამ, მიხეილ იარაღმა, კოტე მახარაშვილმა, გოგი არაბულმა და სხვებმა.

დასასრულს სცენაზე ავიდა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნონა ჯიბლაშვილი. რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა: „მოგესალმებით, მადლობა უფალს დღევანდელი დღისთვის! მადლობა თქვენ მოზრდებისთვის. ის, რაც დღეს აქ ხდება, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, და აი, ღვთის ნებით, ამ იდეის განხორციელება დღეს შეეძლო. ვუყურებ თქვენს სიხარულითა და სიყვარულით ანთებულ თვალებს და ბედნიერი ვარ... მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ იდეის განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საკრებულოს და გამგეობას, ჩემი კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომელს, ყველა მონაწილეს. ჩვენ ერთიანი ძალისხმევითა და ერთმანეთის თანადგომით შევძელით მოგვერებოდით და თქვენთვის ეს ღამე-ზი დღე გვეჩუქებინა. ადამიანი სცენაზე უნდა იდგეს, რომ მიხვებოდეს იქიდან ჩამოსვლის შემდეგ სცენის მიღმა რა ცხოვრება იწყება. თქვენ ხომ ამ სცენაზე ცხოვრების ყველაზე ღამე-ზი ნლები გაატარეთ. მე იმ თაობას ვეკუთვნი, ვინც თქვენ მხურვალე აპლოდისმენტებით გაჯილდოვებდათ. დღეს კი, გვეყურებით და მადლობას გხვდით იმ შრომის, ენერჯის და გულისხმიერებისთვის, რაც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვებთ. თქვენს ტრადიციებს ღამე-ზი რომ ვაგრძელებთ, ამას დღევანდელი საღამოც მონიშნავს. კიდევ ერთხელ მადლობა უფალს. ღმერთს ებარებოდეთ!“ - აღნიშნა ნონა ჯიბლაშვილმა.

აქვე სიტყვის სათქმელად მოიწვიეს დედოფლისწყაროს კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი და ჩვენი რაიონის კულტურისა, ცოცხალი მემკვიდრე ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი.

ბოლოს ქალბატონმა ნონამ სცენაზე მიიწვია ყველა ღვაწლმოსილი, მსახიობე-



მოეცოს შენი ნაშრომ-ნაღვანი. ეს მართლაც ფასდაუდებელი საქმეა.

სწორედ ამ რთულ და ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებენ დღეს ჩვენი კულტურის მუშაკები, რომლებმაც ამ დღეებში ღონისძიება „ამაგდარი“ მოუწყეს ჩვენს საზოგადოებას და თვით ამაგდარებს. ამით მათ ძალიან ღამე-ზად და ფაქიზად მოახერხეს ის, რომ ამაგი დაუფასეს, გაიხსენეს და მოეფერნენ კულტურის იმ მუშაკებს, ვისაც ჩვენი რაიონის კულტურა უშენებია, ვისაც ერთი აგური მაინც დაუდგია ამ მშენებლობაში და საბოლოოდ საქმედ უქცევია.

ვუყურებდი სცენას, სცენზე განვითარებულ მოვლენებს, რომელიც არცერთ სხვა ღონისძიებას არ ჰგავდა და ვფიქრობდი, ვინ მოიფიქრა, ვინ დაგეგმა და ვინ შეასხა ხორცი ასეთ ღამე-ზად იდეას, რომ მთელი რაიონის კულტურის ისტორია ასე ღამე-ზად დააღაგა და გადმოგვიშალა?! ეს გახლდათ ჩვენი რაიონის თითოეული მაცხოვრებლისთვის უდიდესი სიამაყის მომცველი ღონისძიება, სადაც ნათლად სჭვივოდა, რომ ჩვენ მართლა ძლიერი, უდიდესი კულტურის მატარებელი ხალხი ვართ, რომელსაც ჰქონდა საკუთარი თეატრი, ანსამბლები, სტუდიები და ყველაფერი ის, რასაც კულტურის აღორძინება ერქვა. როდესაც გვაქვს არ ვფასებთ, დავკარგავთ და მივტირით! დაიბ, სულ რაღაც ათიოდე წლის წინ, როდესაც ნაციონალურმა მთავრობამ ინტელიგენციას „ჩარეცხილები“ უწოდა და ყველა მათგანი სახლში გაისტუმრა, აცრემლებულები ტოვებდნენ მრავალწლიანი გამოცდილების კულტურის მუშაკები თავის საყვარელ სფეროს, მათთვის ესოდენ ძვირფას შენობის კედლებს და ისე მოუხურეს კარები, რომ ერთი მადლობაც არავის უთქვამს. — „მათზე ვათავისუფლებს ბრძანებები ინერგობდა, აცრემლებულები ტოვებდნენ კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები კულტურის სამსახურს, ისე, რომ გაცილების უფლებაც არავინ მოგვცა, მაშინ ის გულისტკენა მათთან ერთად ჩვენც განვიცადეთ და მას მერე მუდმივად გვინდოდა,

წაუკითხა. შემდეგ კი, სცენა ხალხური სიმღერის გუნდს „ხორნაბუჯს“ (ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე) დაეთმო. სცენაზე წარსდგნენ ახლადშექმნილი ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და სიმღერის სკოლის გუნდი გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მასყურებელს ორი სიმღერა შეუსრულეს. მშვენიერი გამოსვლა ჰქონდათ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ტრიოს, დებს ლოლაშვილებს, რომლებმაც საესტრადო სიმღერები შემოგვათავაზეს. შემდეგ კი, სცენა სტუდია „არლევკონოს“ მცირეწლოვან ბავშვებს დაეთმო, რომელთა გამოსვლამ ყველაზე დიდი მუსიკის შემოიტანა მასყურებელში, (ცხადია, ისინი ამ სცენის მომავალი თაობაა, ჩვენი ნათელი იმედი. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“ (ხელმძღვანელი ზვირა ზუბაშვილი) არაჩვეულებრივი შესრულებით ცეკვა „ქართული“ წარმოადგინა, ხოლო ალექსანდრე გაბრიელაშვილის ანსამბლმა „შირაქი“ ვაჟკაცობის მკვეთრად გამოხატვით ცეკვა „ყაზბეგური“ დადგა. სცენა დაეთმო ასევე დალი ელისაშვილის ხალხური სიმღერების გუნდს „მანდილი“, რომლებმაც იქვე „ცანგალა და გოგონას“ ცეკვაც გაითამაშეს. დიდი მონონება დაიმსახურა დედოფლისწყაროელ მასყურებელში კვარტეტმა „ქალაქური სიმღერები“, (ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე), მათ გაიოზ ხუციშვილის მიერ გიტარის აკომპანიმენტით რამდენიმე სიმღერა შეასრულეს და ამით ახალი სიტყვა თქვეს ჩვენი რაიონის პუბლიკის წინაშე. მამაკაცთა კვარტეტის ხმები გიტარის თანხლებით ხომ ჩვენთვის ახალი და ესოდენ დიდი ფუფუნება გახლავთ. ფანდურის თანხლებით შეასრულა სიმღერა სამრეკლოს ქალთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი). შემდეგ კი, კულტურის სახლის სცენა დაიპყრეს თეატრალური ჯგუფის ახალგაზრდა მსახიობებმა, (ხელმძღვანელი ცარო მარტიამელი) რომლებმაც სცენაზე ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ბასიანის ბრძოლა“ გააცოცხლეს. მათი შესრულების მანერა, სამოსი და სცენის მხატვრული გაფორმება, ყველაფერი ერთად ნამდვილად

იმედს, რომ ჩვენს რაიონში თეატრი და სასპექტაკლო ცხოვრება კვლავ ცოცხლდება და მომავალში დიდი აღორძინება ელის! ბოლოს სცენაზე მოიწვიეს, თვით ჩვენი კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები. ანსამბლ „ფიროსმანის“ სოლისტი ვასილ ტუხაშვილი და ანსამბლ „ოცნების“ სოლისტი ემზარ ტოკლიკიშვილი, რომლებმაც საესტრადო სიმღერები შეასრულეს.

ცხადია, არ დაგვავინწყდება, რომ ეს ყველაფერი იმ ხალხის საპატივსაცემოდ მოეწყო, ვინც კულტურაში ღვაწლი გასწია და თავისი სიტყვა თქვა დედოფლისწყაროს კულტურის ისტორიის შექმნაში, ვინც ლეგენდარული როლები შექმნეს და თაობები აღზარდეს თავიანთ ნაამბავრზე. ამ სცენაზე ხომ გაცოცხლებულია ვალერიან გუნიას „და-ძმა“, შალვა დადიანის „გეგეჭკორი“, ირაკლი ჭავჭავაძის „ნისლიანი დღეები“, გოდერძი ბესაშვილის „ტირიფის ქვეშ“ ალექსანდრე ჩხაიძის „გამოძიება შეწყვეტილია“, მიხეილ მრეულაშვილის „მეხდაცემული კაკალი“, აკაკი დევითის „სახსოვარი“ და სხვა. სხვადასხვა დროს დედოფლისწყაროს თეატრის რეჟისორობა იტვირთეს აკაკი ინჯიამ, მიხეილ იარაღმა, კოტე მახარაშვილმა, გოგი არაბულმა და სხვებმა.

დასასრულს სცენაზე ავიდა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნონა ჯიბლაშვილი. რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა: „მოგესალმებით, მადლობა უფალს დღევანდელი დღისთვის! მადლობა თქვენ მოზრდებისთვის. ის, რაც დღეს აქ ხდება, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, და აი, ღვთის ნებით, ამ იდეის განხორციელება დღეს შეეძლო. ვუყურებ თქვენს სიხარულითა და სიყვარულით ანთებულ თვალებს და ბედნიერი ვარ... მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ იდეის განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საკრებულოს და გამგეობას, ჩემი კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომელს, ყველა მონაწილეს. ჩვენ ერთიანი ძალისხმევითა და ერთმანეთის თანადგომით შევძელით მოგვერებოდით და თქვენთვის ეს ღამე-ზი დღე გვეჩუქებინა. ადამიანი სცენაზე უნდა იდგეს, რომ მიხვებოდეს იქიდან ჩამოსვლის შემდეგ სცენის მიღმა რა ცხოვრება იწყება. თქვენ ხომ ამ სცენაზე ცხოვრების ყველაზე ღამე-ზი ნლები გაატარეთ. მე იმ თაობას ვეკუთვნი, ვინც თქვენ მხურვალე აპლოდისმენტებით გაჯილდოვებდათ. დღეს კი, გვეყურებით და მადლობას გხვდით იმ შრომის, ენერჯის და გულისხმიერებისთვის, რაც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვებთ. თქვენს ტრადიციებს ღამე-ზი რომ ვაგრძელებთ, ამას დღევანდელი საღამოც მონიშნავს. კიდევ ერთხელ მადლობა უფალს. ღმერთს ებარებოდეთ!“ - აღნიშნა ნონა ჯიბლაშვილმა.

აქვე სიტყვის სათქმელად მოიწვიეს დედოფლისწყაროს კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი და ჩვენი რაიონის კულტურისა, ცოცხალი მემკვიდრე ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი.

ბოლოს ქალბატონმა ნონამ სცენაზე მიიწვია ყველა ღვაწლმოსილი, მსახიობე-

იმედს, რომ ჩვენს რაიონში თეატრი და სასპექტაკლო ცხოვრება კვლავ ცოცხლდება და მომავალში დიდი აღორძინება ელის! ბოლოს სცენაზე მოიწვიეს, თვით ჩვენი კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი და ჩვენი რაიონის კულტურისა, ცოცხალი მემკვიდრე ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი.



ბი, კულტურის მუშაკები, რომლებმაც მხრებით ატარეს ქართული თეატრის ის დიდი ხიბლი. ანსამბლები: „ოცნების“ და „ფიროსმანის“ ნევრები ულამაზეს მარინა კიკილაშვილთან ერთად და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადეს სათითაოდ ყველა მათგანს.

თეატრში განუვლი ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ: ნინა ყორიაშვილი, ირაკლი კიკილაშვილი, ლია დარაშვილი, გორგოდი აბულაშვილი, მანანა შანშაშვილი, სოსო ცისკარაული, ნიაზი გაგაძე, კაკო გარსენიშვილი, ზურაბ ბიკაშვილი, ეთერ აღუაშვილი, გოგი არაბული.

ხალხური სიმღერის გუნდში „ხორნაბუჯი“ განუვლი ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ იროდი ტიკიშვილი, ბიჭიკო ლოლაშვილი, ვასიკო მაჭარაშვილი, ალექო ობოლაშვილი, გელა ლაპიაშვილი, ვასო ლეკიაშვილი, დათო ხუციშვილი, ვეფხო ოზაშვილი, დათო რობიტიანი, სოსო რობიტიანი, ვასიკო ჯამასპიშვილი, გელა გველუკაშვილი.

წლების მანძილზე განუვლი ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ ასევე ვოკალურ ინსტრუმენტალურ ანსამბლ „ფიროსმანის“ ნევრები: მიხეილ ალადაშვილი, გივი ლომიძე, მარინა კიკილაშვილი, გოგი ზუბადალაშვილი, გელა ალადაშვილი, ვასიკო ტუხაშვილი და გაიოზ ხუციშვილი.

ასევე ქორეოგრაფიაში განუვლი ღვაწლისთვის დაჯილდოვდა ქორეოგრაფი ლევან ხუნდაშვილი. კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი, წლების მანძილზე კულტურის განყოფილების გამგე ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი.

დაჯილდოვება სიმბოლურად არქივში მოძიებული ანსამბლ „ფიროსმანის“ ძველი ჩანაწერის სიმღერის ჰანგებით წარმართა, სადაც ანსამბლის სოლისტის მარინა კიკილაშვილის ულამაზესი და უნაზესი ხმა ისმოდა.

აქვე გაიხსენეს ის მუშაკები, რომლებსაც ჩვენი რაიონის კულტურის საქმეში ღონისძიების ნილი მიუძღვით და დღეს ცოცხალნი აღარ არიან. ქალბატონმა ცარო მარტიამელიმ მასყურებელს სთხოვა, რომ ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ გარდაცვლილი კულტურის მუშაკების: რეზო გონაშვილის, კარგო გოგაშვილის, შოთა ნატროშვილის, ალექსანდრე გიგოლაშვილის, ღურმიშხან ჯამალაშვილის, ღვთისო დავითაშვილის და მარგო ცოცხალაშვილის ხსოვნისთვის. ეს ადამიანები ასევე დაჯილდოვდნენ კულტურაში განუვლი ღვაწლისთვის.

ღონისძიება სიმღერა „მრავალყვამიერის“ ფონზე დამსრუ საზოგადოების შთაბეჭდილებებისა და დადებითი ემოციების ურთიერთგაზიარებით დასრულდა.

ლალი მისერიშვილი

შენმა სამ ჯერ ვერ გამოიღარა

დას, ჯერ ვერ გამოიღარა ჰერეთის ცამ, დედის მკერდს მოგლევილი მინა მშობლის უბეში დაბრუნების იმედს არ ჰკარგავს, იბრძვის, არ დაივიწყოს, არ დაკარგოს, არ განწყვიტოს ის ძაფი, რომელზეც ჰკიდია ჩვენი საერთო ტრადიციები, ენა, სარწმუნოება. ისტორიულად რთული ცხოვრების გზა გამოიარა ჰერეთმა, რომელსაც საინგილო-დაც მოვიხეხებთ ხოლმე. ასეთი მიმართვა არცთუ უსაფუძვლოდ, სწინით ჰერებს, რადგან „ინგილო“ „ახლადმოქცეულს“ „ახლად-მორჯულებულს“ ნიშნავს, რაც ქრისტიანობიდან მუსულმანურ სარწმუნოებაზე იძულებით მორჯულებულს გულისხმობს. აქვე არსებობს ხალხში ზეპირსიტყვიერებით შემორჩენილი ვერსია, რომ „ინგილო“ „მორჯულებულს“ ნიშნავსო. სასურველია, ეს ორი, ურთერთგამომრიცხავი ვერსია დავივიწყოთ და ეს ძირძველი ჩვენი მინა

კითხვას. იქამდე კი ის 1854 წელს, 17 აგვისტოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოინათლა. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ზაქათალის ოლქის მთავარუბუცესს, მღვდელ იროდიონ ელიოსის ლოცვა-კურთხევით, მღვდელ სვიმონ ბეგიაშვილთან ისწავლა. გარდა ქართულისა, მას საუცხოოდ სცოდნია რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და უდიური ენები. ზეპირად უსწავლია „ვეფხისტყაოსანი“. ამიტომ სკოლის გახსნის საქმეში მას დიდად უწყობდნენ ხელს ივანე-ბაბა ბულუღაშვილი და მთავარუბუცესი, მღვდელი პეტრე კონჭოშვილი. ივანე-ბაბა ბულუღაშვილმა კარდაკარ შემოიარა კახი და თითო კერას სკოლაში თითო ვაჟის გაგზავნა დაავალა. აქედან დაიწყო მიხეილ ყულოშვილის დიდი მოღვაწეობითი ცხოვრება. ის იყო ჰერეთში სხვადასხვა ქართული

ფლები. ვინც გადაარჩა, ინგილოების დახმარებით, ალაზანს გამოღმა, საქართველოში გადმოვიდა და შირაქში დასახლდა. ინგილოების განადგურების ჯერი დადგა. ხალხი შიშმა მოიცვა, ბევრი ტყე-ღრეში გაიქცა თავის შესაფარებლად. მუსავატელებმა ძარცვა-გლეჯვასა და მკვლელობებს მიჰყვეს ხელი. მათ მიხეილ მღვდელს მოლები მოუგზავნეს, რათა საკუთარი სურვილით უარეყო ქრისტიანობა და თავისი მაგალითით ხალხი მუსულმანობაზე მოექცია. ყველაფერი კარგად იყო გათვლილი. იცოდნენ, რომ მიხეილ ყულოშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქრისტიანულ სოფლებში: კახში, ალიბეგლოში, ყორაღანში, მარსანში, თასმალოში, ალათემურში და სხვა. მისი სჯეროდათ, მის აზრს პატივს სცემდნენ. მღვდელს სარწმუნოების შეცვლის გაგონებაც არ უნდოდა. ამ საქმეზე მასთან მიხედვით კატეგორიულად მოსთხოვა,



ფელში. ხალხი ყველაფერს მიხვდა. (მოძღვრის სახლში დაქვრივებული რძალი, საინგილოს ქალთა შორის ქართული კულტურის გამავრცელებელი, ცნობილი მასწავლებელი სოფიო ყულოშვილი ელოდა, რომელიც უდროოდ დაქვრივდა. სოფიოს მეუღლე, მიხეილ ყულოშვილის ვაჟი, სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ნიკოლოზი, ერთხანს პედაგოგობდა, მაგრამ საინგილოში ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით მამამისმა იგი 1892 წლის მაისში მღვდლად აკურთხებინა და კახის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა. ის 1895 წლის შემოდგომაზე ფილტვების დაავადებით გარდაიცვალა. მათ დარჩათ ქალიშვილი ნინო).

ნლებში და მოუწოდა თანამომე ინგილოებს, დაბრუნებოდნენ ღვიძლ ძმა ქართველებს, რომელთაგან ჩამოაშორა იგინი უკულმართმა ისტორიულმა პირობებმა. დიდი იყო ღვანლი ივან-ბაბასი და აკი მადლიერმა შთამომავლობამ ღრმა მადლობის ნიშნად დაუდგა მას ღირსიერი ძეგლი. ძეგლის კურთხევას დაესწრო დიდალი ხალხი. სიტყვები წარმოთქვამდა ალნუსხეს ივან-ბაბას დიდი ღვანლი ეპისკოპოსმა პიროსმა, მღვდელმა ბესარიონ ფურცელაძემ და პოლკოვნიკმა ტარტარაშვილმა. ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ მათი მეუფება დაბრუნდა ქ. ზაქათალაში, სადაც ხანგრძლივი თათბირი იქონია ზაქათალის ოლქის კომისრებთან ქრისტიანების გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ და შემდეგ გაემართა კახეთისკენ“.

მამა მიხეილის მკვლელობის ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში. გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის მეექვსე ნომერში ვ. ალუღიშვილი დაწვრილებით აღწერდა მამა მიხეილის ღვანლს და დამსახურებას, მკვლელობის ფაქტს, მკვლელობის მძაფრ გარემოებებს და ვითარებას და მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისაკენ: – „საჭიროა ქართველობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მათ გაჭირვებულ მდგომარეობას და ეხლავე ზომები მიიღოს ინგილოთა განსაცდელიდან დახსნისათვის, თორემ მერე გვიან იქნება. გამუსულმანებული ინგილო ქართველ ეროვნებაზე ყოველთვის უარზეა, რადგან გაფანტეტიკოსებული მუსულმანი სჯულსა და ეროვნებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს. ინგილოთა უნუგეშო მდგომარეობაზე ეცნობა კავკასიის კომსარაგის და კათოლიკოს კირონის. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირონის განკარგულებით საინგილოში მოზრძანდა ალათემური ეპისკოპოსი პიროსი. მათმა მეუფებმა ადგილობრივი ბლალჩინის და პოლკოვნიკ ტარტარაშვილის თანხლებით

ვერაგულად მოკლული გავლენიანი და ფრიად პატივცემული მოხუცი მღვდლის მიხეილ ყულოშვილის ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. 18 დღის ძებნის შემდეგ გვამი მუსულმანური ინგილოებით დასახლებული სოფლის მარსანის მიმდებარედ ტყეში, ნახშირის საწვავ ორში იპოვეს. სამხეილი სახანავი იყო: ხელები ზურგზედ ჰქონდა გაკრული, ხანჯლით მიყენებული ჭრილობა გულთან, ყელი გამოჭრილი, კისრის და ხერხემლის ძვლები დაკეპილი. კუჭის გამოკვლევამ აჩვენა, რომ მღვდელი რამოდენიმე დღის მძიერი იყო. გვამისთვის ცეცხლიც ნაუკიდებიათ, მაგრამ მალე ჩამქარა. მადლიერმა ხალხმა დიდხანს იგლოვა მისი გარდაცვალება, დასაფლავებას ინგილო ქრისტიანებთან ერთად მაშპადაინებიც მრავლად ესწრებოდნენ. ალათემურიდან კახამდე გზები მრევლით იყო სავსე. მამა მიხეილი გამოჩენილი პატივისცემით მიახვეწეს კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში და საინგილოს დიდი ეროვნული გმირის ივან-ბაბა ბულუღაშვილის გვერდით, საინგილოს პანთეონში დაკრძალეს. როგორც დასაწყისში



მოვისხენით „ჰერეთად“ და იქ მცხოვრები ქართველები „ჰერებად“; სწორედ ჰერეთსა და ჰერებს მიეძღვნა ლონისიძეა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც თავი მოიყარა რაიონის ინტელიგენციამ. შეხვედრაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ მონაწილეები დედოფლისწყაროში მცხოვრები ჰერები ნაილი კოსიანაშვილი და ალსო ბაირბაშვილი. ჰერეთის ისტორიული ქარტეხილებით სავსე ცხოვრების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა მუზეუმის სპეციალისტი ლალი ბასილაშვილი. მან სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით წარმოადგინა მთელი ის გზა, რაც ჰერეთმა გაიარა დაარსებდან დღემდე. იმის გამო, რომ ეს თემა ჩვენ დანერგვებით, ორი წინააღმდეგობის ნიშნები ვაჩვენებთ ფურცლებზე უკვე გავაშუქეთ, დღეს აღარ შეგჩერდებით ამაზე, ერთს კი ვიტყვით, რომ საუბარი იყო ქრონოლოგიურად დალაგებული, მდიდარი ფაქტებით და მოვლენებით, რამაც მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეკლესიების მედავითნე, დიაკვანი, მღვდელი, წინამძღვარი, სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებელი. ის აქტიურად მონაწილეობდა 1888-1904 წლებში ქურთხის ტაძრის აღდგენის საქმეში და იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. საეკლესიო ღვანლისათვის, სხვა ჯილდოებთან ერთად, მან 1915 წლის 15 მაისს სამეგრედ ოქროს ჯვარი მიიღო. მამა მიხეილის საქმიანობას ფუჭად არ ჩაუვლია. მისი მეშვეობით კუთხეს ახალი პატრონები და პატრიოტები გამოუჩნდა, რომელთა შორის იყო ინგილო ისტორიკოსი, მოსკოვის არქეოლოგიური აკადემიის წევრი კორესპონდენტი, პროფესორი მოსე ჯანაშვილი და ზაქარია ედიშვილი. აი, რას წერდა მოსე ჯანაშვილი მიხეილ ყულოშვილის შესახებ: „ქეშმარიტ მღვდელს უყვარს თავისი ერი და ერსაც უყვარს თავისი კეთილი მწყემსი“. მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად მიხეილ ყულოშვილმა საკუთარი სახსრებით 1912 წელს განაახლა სოფელ კასრის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საყდარი, რომელიც აამენა არჩილ მეფემ 718 წლის დამდეგს. ეს საყდარი დღეისათვის აღარ არსებობს, რადგან 1947 წლის მიწისებრამ იგი დაანგრია. მამა მიხეილმა თავის მრევლს მშობლიური ქვეყნის სიყვარული გაუღვივა, შეასწავლა და შეაყვარა მისი ისტორიული წარსული, ემსახურა ერს სულიერების განმტკიცებაში და, როგორც საქმიო საქმის კარგი მცოდნე, ყოველთვის მხარში ედგა უძღურებაში ჩავარდნილ თანამომეებს. ასე გაილია მისი ცხოვრების ათეული წლები. რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ. საქართველოს წარმომადგენლებმა, შიშინობის გამო, ზაქათალის ოლქი მიატოვეს. საქართველოსთან ყოველგვარი მიმოსვლა შეწყდა, ჩაიკეტა გზები. თურქი ასკერების მხარდაჭერით, აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა პანთურქებმა მთელი ტერიტორია დაიპყრეს. ოლქის სოფლებში პროთურქული რაზმები მათ რიგებში ჩანერისკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას. მათ დარბიებს და ამონყვიტეს სომხური სო-

რომ მეორედ არ გაეხედათ მისვლა. მუსავატელთა მუქარის მიუხედავად, მამა მიხეილი ყოველდღე უშობრად დადიოდა მარსანსა და თასმალოში, სადაც ნირვა-ლოცვას ალავლენდა. 1917 წლის 1 ნოემბერს მამა მიხეილი თავის სამრევლოში ჩავიდა. ნირვის დამთავრების შემდეგ, ცხენი შეკაზმა და სახლისკენ გზას გაუდგა. მას გზად სოფელი მარსანი უნდა გაეგლო. სოფლის ხიდან ერთი დაღონებული კაცი შემოხვდა, რომელმაც, როგორც ექიმობის მცოდნე კაცს, ავადმყოფის სანახავად გაყოლა სთხოვა. რას წარმოიდგენდა, რომ ატყუებდნენ! ბუნებით კეთილი ადამიანი მამიწე მიენდო უცნობს. როდესაც „ავად-მყოფთან“ მივიდნენ, გაუკვირდა, რომ არავინ მიეგება. არ იცოდა, რა ხიფათი ელოდა და გაბეჭულად შევიდა სახლში. მაგრამ იქ იატაკი წინასწარ იყო ახილი, მასზე კი დიდი ფარდაგი ეფინა. მამა მიხეილმა ფეხი დააბიჯა თუ არა, ფარდაგანად სარდაფში ჩავარდა. ქვევით ჩასაფრებული იყვნენ მოსყიდული მკვლელები, რომლებმაც მღვდელი შებოჭეს და სარწმუნოების შეცვლა ჯერ „ტკბილად“ მოსთხოვეს, რათა შემდეგ ქრისტიანი ინგილო ხალხი მუსულმანობაზე მოექციათ რაზეც მოძღვარი არ დათანხმდა. მერე ხანჯლები მოუღერეს და სიკვდილით დაემუქრნენ, მაგრამ ასეთ პასუხი მიიღეს:

„ავიცი, რომ სიკვდილის ზირას ვარ, მაგრამ მე ჩემს სარწმუნოებას უსჯულოთა რჯულზე არ შევცვლი. ადამიანის სიცოცხლის ბოლო მინც სიკვდილია, ამიტომ „სჯობს სიცოცხლესა ხანძარსსა, სიკვდილი სახელოვანი“. და, მოკვალთ წინდა სამებისათვის. სიკვდილის შიშითაც კი არ მივიღებ თქვენს საწინააღმდეგო სარწმუნოებას, სადაც დედისა და დის მეტს არავის სცნობთ, მამა მისი ცოლს ირთავს, არ იცით სისწლით ნათესაობა, გაუფი ჩამორჩენილი კულტურა...“ მაგრამ ჯვალათებმა არ დააცადეს. მან სანრაფოდ ასწია ხელი, რათა პირჯვარი გადაესახა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. შებინდებულზე მღვდლის გვამი შავ სუდარაში შეხვიეს, ურემზე დადეს და უღრან ტყეში წაიღეს. უპატრონოდ დარჩენილი ცხენი ქიხინით გამოიქცა სო-



მოიარა ინგილოების სოფლები. ბევრ მრეველში სწირა და ყველგან გამამხნეველები, მანუგეშებელი სიტყვებით ეპისკოპოსი ურჩევდა მათ, ჰქონოდათ ქრისტიანებთან კეთილი მეზობლობა, სიყვარული, ერთმანეთის შველა ეხლაშდელ ძნელს, ყველასათვის გასაჭირის დროს. მათი მეუფებისა ხალხი მადლობით დარჩა. 3 დეკემბერს ეპისკოპოსმა პიროსმა აკურთხა სოფელ კახში ივან-ბაბა ბულუღაშვილის საფლავზე ძეგლი. ივან-ბაბა პირველი ინგილო იყო, რომელმაც ხმა აიმაღლა მე-19 საუკუნის 50-იან

აღვნიშნეთ, 2012 წლის 5 ივლისს ის წმინდანად შერაცხეს. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე წარმოდგენილმა თემებმა მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ყველა გაუჩინა სურვილი, ჰერეთთან თავისი დამოკიდებულების შესახებ მოეთხრო: მანანა მატარაშვილი - ჰერეთი მთელი საქართველოს დიდი დანაკლისი და ტკივილია, გამორჩეულად კი ჩვენთვის, ქიზიყელეებისთვის. ჰერეთის ისტორიას ლევან

23 ნოემბერი - წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გიორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წმინდის ყოველ დღეს იხიებიან და გიორგობა, რომელიც წმინდის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წმინდის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

23 ნოემბერს აღინიშნება წმინდის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უხანძრად დიდმოწამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამების საოცარი ისტორია: როდესაც პირველ დღეს წამებში წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს, წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმაღლე მყოფე, დიოკლეტიანე ჩემი ტანჯვით, ვერა და შენს მიერ გვემუღო“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველი ენაშენებინა იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაეკრეს. სხეულდასაეროდმა წმინდანმა ჯერ ხმაძალა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანე იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესწავლად.

მოულოდნელად სრულიად ჩამოხვედა, ქვე-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ დალოდნა მოისმა ხმა: „ნუ გემინი, გიორგი, მე შენთან ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მონამეს, უთხრა: „გინაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულად

ლიად უენებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

წმიდა გიორგის სასწაულები

წმინდა გიორგის სასწაულების რიცხვი აურაცხელია, ყოველი ქვეყანა და ყოველი ეკლესია აღსავსეა მისი საკვირველებითა და წყალობით. წმინდა გიორგის მიერ უღმერთოთა შემუსვრაზე მოგვითხრობს შემდეგი სასწაული: პალესტინაში, წმინდა გიორგის დედუღეთის დაბას, სადაც დასვენებულია წმინდის ყოველდღეს მიდა ნაწილები, სარკინოთა ჯარი შემოესია საბრძოლველად. როცა იქ მყოფნი დაატყვევეს, კარები გამაღეს და იწყეს ლხინი და განცხრომა. უგუნურებმა ტაძრის საკურთხეველში, სადაც ძლევაშემოსილი და წამების ღვაწლით შემკული მონაწიის წმიდა ნაწილები იყო დასვენებული, ხელი მიყვეს ლორმეცელობას, ლოთობას, ძილს, თამაშსა და ხუმრობას. შემდეგ მოზიდეს ისრები და სროლა დაუწყეს იქ დაბრძანებულ დიდებულ ხატებს. ერთმა ტყვეთაგანმა გაუბედა მათ და უთხრა: „არ შეიძლება ასეთი მკრეხელობა წმინდანთა მიმართ, რადგან მოწამე, ვისი სახელითაც პატივცემულია ეს ტაძარი, იყო უძლეველი მეომარი და დღემდე ამხილებს თავის მონინააღმდეგეებს და უღმობლად მუსრავს მათ“. უსჯულო მხედრებმა უნესოდ გაიციხეს და თქვეს: „გაგვაგებინეთ ვინ არის ასეთი?“ ხოლო იგი უჩვენებდა წმინდა გიორგის ხატს. ბრწყინვალედ გამოსახულსა და მეომრის ჯაჭვის პურანგით შემოსილი დიდმოწამე ნელ-ნელა მოზიდა ისარი და წმინდის ხატს სტყორცნა, მაგრამ ისარი უეცრად უუქოქცა, მტყორცნელს გული განუგმირა და ზეცებამდე გაერქო. უზადრუკმა იმნამსვე სული დალია, ხოლო დანარჩენმა მხედრებმა დაინახეს წმინდა გიორგის ხატი, რომელსაც ხელი გაეშალა და სოცავდა მათ. თავზარდაცემული მეომრები გაიქცნენ, ხოლო ვინც გადაურჩა მახვილით მოსვრას, მიუთხრობდნენ წმინდა გიორგის უძლეველ ძალაზე.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ქვეყანაზე ბრწყინავდა წმინდა გიორგი და ეს იყო მის წამებამდე, ქალაქ ლასიაში მეფობდა უკეთური, უსჯულო და კერძომსახური სული-

ნოსი, რომელიც ქრისტიანების მიმართ შეუბრალებელი და უღმობელი იყო. ამიტომაც, თავისი ბოროტი საქმეების შესაფერად მიეგო კიდევ უფლისაგან. ქალაქის მახლობლად იყო ტბა, რომელშიც გამოჩნდა ბოროტი ვეშაპი, იგი ყოველდღე ამოდიოდა წყლიდან და მუსრს ავლებდა მოსახლეობას. მრავალჯერ სცადეს მისი მოკლა, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან ძალიან მძივნურე იყო. ქალაქის მცხოვრებლებმა დაადანაშაულებს მეფე, რომ იგი არ ეძიებდა ხსნის გზას თავისი ხალხის გადასარჩენად. ამგვარი მხილებით დამფრთხალმა მეფემ ქალაქის მცხოვრებლებს უბრძანა, თავიანთი ძვირები რიგ-რიგობით მიეცათ მხეცისთვის შესანიშნავ და როდესაც ჯერი მასზე მიდგებოდა, ისიც შესანიშნავად თავის ერთადერთ ასულს. მართლაც, მეფის განკარგულების თანახმად, ყოველი კაცი იძულებული გახდა გაემეტებინა თავისი ძვირები, ვიდრე მეფის ასულის რიგიც არ დადგა. დარდისაგან შეწუხებულმა მამამ ძვირფასი სამოსით მორთო სასიკვდილოდ განწირული თავისი ერთადერთი ასული და მოთქმითა და გოდებით უკანასკნელი თხოვნით მიმართა თავის ქვეშევრდომებს, რომ არც ოქრო-ვერცხლს დაინახებდა, არც საკუთარ მეფობას, ოღონდ მისი ქალიშვილისთვის აეცლებინათ ეს მძიმე ხვედრი, მაგრამ არავინ უთანხმდნო, რადგან თვით მის მიერ იყო ეს ნესი დადგენილი. სული-ნოსმა, როცა იხილა მათი სიჯიუტე, მისცა მათ თავისი ასული. ხოლო კაცთმოყვარე და მრავალმოწყალებული განგებულებით, სწორედ იმ დროს, როდესაც სამხედროდ გამაზადებული ქალი ელოდა ტბიდან ვეშაპის გამოსვლას, უფალმა იხილა, რომ იქ გაველი კაბადუკისტი მიმაგაღწეა წმინდა გიორგის. მან ტბიდან წყალი შეასვა ცხენს და როდესაც იხილა თვალცრემლიანი ქალიშვილი, ტირილის მიზეზს ჰკითხა. ქალმა სთხოვა უცნობ ჭაბუკს, სწრაფად გასცლოდა ამ საშობ ადგილს, მაგრამ წმინდა გიორგიმ მტკიცედ განუცხადა, რომ იგი მაინც არ მიატოვებდა, თუნდაც მასთან ერთად მომტადარიყო, მაშინ ქალმა მოუთხრო თავისი გასაჭირის შესახებ. წმინდა გიორგიმ ჰკითხა ქალს, თუ რომელ ღმერთს მსახურებდნენ მამამისი და მისი ქვეშევრდომები. „აპოლონს, ჰერაკლეს, სკანდიანოსს და დიდ ღმერთს არტემიდას“ - უპასუხა ქალმა. როდესაც წმინდანმა გაარკვია მათი აღმსა-

რებლობის წარმართული ბუნება, დაამშვიდა ქალი, რომ ჭეშმარიტი ღმერთის სახელით იხსნიდა მას ბოროტი მხეცისაგან. მან მაცხოვრის მიმართ აღაწვინა ლოცვა, რათა მხეცის დამარცხების ძალა მიენიჭებინა მისთვის და მიიღო კიდევ პასუხად უფლისაგან „შესმენილ იქნა შენი ვედრება, გიორგი, ჰყავ რაიცა შენთვის, მე შენთან ვარ“. უეცრად გეშაპი მოსაკლავად გაემურა, გამოსახა მასზე ჯვარი და თქვა: „უფალო, ღმერთო, გადააქციე ეს მხეცი ჩემს მორჩილად“ და როგორც კი ეს წარმოსთქვა, სულიწმიდის შენევნითა და მისი ლოცვით ბოროტი ვეშაპი წმინდის ფეხებთან დაეცა. წმინდა გიორგიმ ქალს უბრძანა, შემოეხსნა თავისი სარტყელი, ყელზე მოება მხეცისთვის და ისე წაეყვანა ქალაქში. ამ სანახაობით დამფრთხალი ქალაქის მცხოვრებნი წმინდანმა დაამშვიდა და უთხრა: „ინამეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყოვლად ძლიერი ჩემიარბი ღმერთი, და მე მოკვლავ ამ ვეშაპს“. მაშინ შეჰყვირეს მეფემ და მისმა ქვეშევრდომებმა: „გუნამს მამა, ძე და სული წმიდა“. წმინდა გიორგიმ იმიშვლა ხმალი, მოკლა ვეშაპი და ქალიშვილი მამას დაუბრუნა. ქალაქის მცხოვრებლები დაემხნენ წმინდის წინაშე და ჭეშმარიტი ღმერთი გააღიღეს, ხოლო მამამ წმინდა გიორგიმ მოინიშნა ეპისკოპოსი ალექსანდრე და ნათელი სცა მეფეს, დიდებულებსა და ერის დიდ სიმრავლეს. თხოუმეტი დღის განმავლობაში ორმოცდასუთი ათასი კაცი მოინათლა. მეფემ კი ჭეშმარიტი ღმერთის სადიდებლად ძვირფასი ტაძარი ააშენა. როდესაც ტბიდან დასრულდა, წმინდანი შევიდა საკურთხეველში და აღმოადინა საკურთხეული წყარო.

სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად გამოსახვევს ხატებზე წმინდა გიორგის ცხენზე მჯდომარეს შუბლი ხელში, რომლითაც საზარელ მხეცს კლავს. დრაკონის მლახერავი წმინდა გიორგის სახე არის ქრისტეს ეკლესიის ბოროტებასა და ცოდვებზე გამარჯვების სიმბოლო, ხოლო ხატი, რომელზეც იგი დიოკლეტიანეს კლავს, არის სიმბოლო ეკლესიის გამარჯვებისა მის ხილულ მტრებზე, მათზე, ვინც ქრისტიანობას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა და ცდილობდა ჯალათის ხელით

ადამინათა გულებიდან ამოეგლიჯა ქრისტეს სახელი.

წმ. გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში დაედო საფუძველი. ძველთაგანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გიორგიას უწოდებდნენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო, ხოლო წმინდა არსენ იყალთოელის მოწმობით, წმინდა ნინო - საქართველოს განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მონაწილობის შესახებ. საგარეოდ, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე ბოდბეში, წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). მისი სახელობის ტაძრები აგებული არა მარტო ქალაქებსა და სოფლებში, არამედ კლდეებზე, მთის მწვერვალებზე და მიუვალ ადგილებში, რომელთა კედლებს ამშვენივლად მისი ცხოვრებისა და სასწაულების გამოხატული უძველესი ფრესკები. წმინდა გიორგის სახელზე აგებული უამრავი ტაძარიდან ერთ-ერთი უძლიერესთაგანია შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ერთხელ, უსჯულო მტრის შემოსევისას ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი, დაბანაკებული იმ მთის ძირში, რომლის წვერზეც წმინდა გიორგის ეკლესია იყო აგებული, გულმხურვალედ ევედრებოდა წმინდა მონამეს მონასტრის ბრძოლაში შენევნას. ხოლო გამთენიისას ყველამ იხილა მხედარი, რომელიც შურდულივით დაეშვა მთის წვერიდან, ეს იმდენად შთამბეჭდავი სანახაო იყო, რომ თავზარდაცემული მტერი გაიქცა. გამხნეებულმა ქართველმა მეომრებმა ადვილად დაამარცხეს მტრის განახევრებული ლაშქარი. გამარჯვების შემდეგ სიმამაკით გამორჩეული მეომარი, რომელიც მთის წვერიდან დაეშვა, მხედართმთავარმა ვევი ნაბდით დასაჩუქრა. როდესაც ყველი წამადლობელი პარაკლისის გადასახდელად ტაძარში შევიდნენ, შავნაბადიანი მხედარი სულ მთლად გაბრწყინდა და ყველამ შეიცნო წმინდა დიდმოწამე გიორგი. მას შემდეგ ამ მთას შავნაბადას მთას უწოდებენ, ხოლო მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას, შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესიას.

8 ნოემბერს ორი ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში, სამუხაროდ, ორივე მსხვერპლით დასრულდა. სახანდორე მყოფი ახალგაზრდების ჯიპი ნავთობსაბადო მიწის ნაწილზე ტერიტორიაზე გადაბრუნდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი მგზავრი გარდაიცვალა. დანარჩენ მგზავრებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

ამას გარდა, დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯის დასახლებულ პუნქტში, ცენტრალურ მაგისტრალზე შეიღის ქორნილში მიმავალი მამაკაცი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. სამართალდამცველების ცნობით, გარდაცვლილია დედოფლისწყაროში მცხოვრები ასაკოვანი ქალბატონი.

კახეთის რეგიონში შს სამინისტროს პრესცენტრის წარმომადგენლის, შორენა ჯახუას განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით, ორივე შემთხვევაზე გამოძიება

დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომელიც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ნადირობისას გარდაცვლილი 28 წლის გურამ გუგუნიშვილი ქართველ გოლიათად აღიარებული და მსოფლიო ჩემპიონი იყო. დაუმარცხებელ ქართველ ათლეტად აღიარებული, რუსეთისთვის ცნობილი ქართველი „მასწობელი“ ბოლო ხანს უკრაინაში მოღვაწეობდა. ის „ბრძოლაში ნესების გარეშე“ უკრაინის სახელით გამოდიოდა, მაგრამ გამარჯვების შემდეგ რინგზე, ტრადიციულად საქართველოს დროშას აფრიალებდა.

ქართველი გოლიათი გურამ გუგუნიშვილი წარმოშობით დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკიდანაა. მისი წინაპრები ამ სოფელში სახლობენ. სწორედ ამიტომ, უკრაინიდან ჩამოსვლილი შემდეგ, პერიოდულად ის ქიზიყის სტუმრობდა, მას ნათესავები მრავლად

ჰყავდა სიღნაღშიც.

სპორტსმენმა პროფესიული კარიერა 2009 წელს დაიწყო, საწყის ეტაპზე ზედიზედ 11 ორთაბრძოლა მოიგო, რამაც მას პოპულარობა და წინსვლა მოუტანა. საფულისხმოა ისიც, რომ შერეული საბრძოლო ხელოვნების ქართველი ფალავანი M-1-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ქამარს არაერთი წლის განმავლობაში ფლობდა. შემდეგ იყო ცნობილი ტრილოგია ამერიკელ ჯეი ბარნერთან, რასაც გუგუნიშვილის ტრაუმები მოჰყვა და მას ხანგრძლივი პერიოდი გაუშვა.

ტრაგიკულ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, ქართველმა მეობრომა იაპონურ ორგანიზაციაში წაიყვანა კონტრაქტი გააფორმა და აღნიშნული კომპანიის მფარველობით სადებიუტო შერკინებაც შექონდა. მომავალი წლის იანვარში მას იაპონიაში კიდევ ერთი ორთაბრძოლა ელოდა, რის შემდეგაც M-1 ჩპალენგე-ის ბრძოლაში უნდა დაბრუნებოდა. სულ ახლახანს მოზარდებისთვის მან სკოლაც გახსნა, სადაც მომავალ თაობას სპორტის სიყვარულს და მამაკობას უნერგავდა. გეგმები ბევრი ჰქონდა, თუმცა მოულოდნელმა ტრაგედიამ ყველაფერი შეცვალა.

ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართველი გოლიათის სამოქალაქო

ტრაგიკული შემთხვევები

პანაშვილები თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. „სანადიროდ იყვიენ ნასულეზი და როგორც ამბობენ მანქანა დაუცურდათ. გურამი გადმოვიდა, იქნებ გაეაჩეროო. ხელით შეეჭიდა, ვერ გააჩერა და ზედ გადაუარა. ვინც მიგინი ივდა ყველა გადარჩა. გმირობა გამოიჩინა,“ - ამბობენ მისი მეგობრები.

დავით ქაცარავა (ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტი, გურამის მეგობარი): „გურამი უკეთილმოხილეს ადამიანი იყო. რამდენადაც დიდი იყო ტანად, იმდენად თავმდაბალი იყო ბუნებით. როგორც გავიგე, სანადიროდ ყოფილა და გურამმა კისრის ტრამვა მიიღო, რაც სავალალო აღმოჩნდა. სხვათაშორის, როგორც თქვეს, მანქანა დაბალი სიჩქარით მოძრაობდა, მაგრამ გურამისთვის მაინც ფატალურად დასრულდა. ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. ყველას უდიდესი ტყივლი დაგვიტოვა. ვინც კი იცნობდა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხება, ყველასთვის უდიდესი დანაკლისია მისი გარდაცვალება. სწორედ გურამისნაირი ადამიანები სჭირდება დღეს ჩვენ ქვეყანას. ასეთი

ქართველები უნდა გვიმრავლოს ღმერთმა. გურამს საცოლედ ჰყავდა და ქორწილისათვის ემზადებოდა, რომელიც ზაფხულში უნდა შექონოდა, მაგრამ... მე და გურამი ერთად ვვარჯიშობდით. ჯახანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ გურამს მართლაც ტიტანისებური ძალა ჰქონდა. როდესაც შევეჭიდებოდი ხოლმე, რაღაც არაადამიანურ ძალას ვგრძნობდი მისგან. კარგად იცოდა თავისი ძალა და ამიტომ ძალიან კეთილი იყო. მალე გურამს უდიდესი ჩემპიონების გვერდით ვინცღავდით, მაგრამ ამ ტრამვადამ ყველაფერს წერტილი დაუსვა. მისი გარდაცვალების ფაქტი ეულის სისწრაფით მოედო ყველას. რუსეთში ყველა ამაზე საუბრობს, რადგან იქ გურამს უდიდეს პატივს სცემდნენ. მართლა მადლობელი ვარ რომ გურამისნაირი მასწავლებელი მყავდა გვერდით, რომლისგანაც ბევრი ვისწავლე, ისევე როგორც მან ჩემგან. მასთან ერთად ყოფნა უდიდესი სიამოვნება იყო. ის იყო ერთ-ერთი იმეოფანი იმ ადამიანთაგან ვისგანაც სიამოვნებით სწავლობ ყველაფერს.“

ილია მარტყოფლიშვილი

მეუღლე ნათელა; შვილები: გონა, ხეჩიკა; რძლები: მანანა, ნატალია, შვილიშვილები: ნათია, კოკა; შვილიშვილები: საბა, გუგა; ძმა ამირანი, ძმისშვილი გია იუნყებიან

ანგორ სპონსორის გარდაცვალებას. დაიკრძალა 20 ნოემბერს, ქ.დედოფლისწყაროში.

კლარა ოზაშვილი, ალექო, ლალი, რუსუდანი, გუგული ალადაშვილები, ნიკა და რუსუდანი თულაშვილები თანაგრძობას უცხადებენ ბაბუცი, ნინო, ზურა ჯორჯოშვილებს, ნინო ოქროპირიძეს მამის და მამამთილის

სპირიდონ ჯორჯოშვილის გარდაცვალების გამო.

გურამ და მარინე მოლაშვილები თანაგრძობას უცხადებენ ნათელა ჯანაშვილს მეუღლის, შვილებს: გონას და ხეჩიკას მამის, ოლიკო სეფიაშვილს ბიძაშვილის

ანგორ გიორგის ძი სპონსორის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ფატი და ლიუზა ზურაშვილები თანაგრძობას უცხადებენ ნინო, ბაბუცი, ზურაიკო ჯორჯოშვილების ოჯახებს მამის

სპირიდონ ჯორჯოშვილის გარდაცვალების გამო.

ნია მელაშვილი თანაგრძობას უცხადებს რუსუდანი და მარია ჯორჯოშვილებს პაპის

სპირიდონ ჯორჯოშვილის გარდაცვალების გამო.

კიკბოქსინგელთა შთამბეჭდავი გამარჯვება

10-15 ნოემბერს, ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობდა. სპორტულ ფორუმში ყველა კონტინენტის საუკეთესო კიკბოქსინგელი მონაწილეობდა. დედოფლისწყაროს სპორტულმა კლუბმა- "ჩემპიონმა" მონაწილეობა მიიღო ჩემპიონატში და შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა: 3 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენი გუნდი მონაწილეობდა საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის სახელით. ბიჭებმა არამარტო ასახელეს საქართველო და მშობლიური რაიონი, არამედ მოიპოვეს მსაჯთა საერთაშორისო კოლეგიის სამპატიო და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შეჯიბრებებზე მონაწილეობის მინიჭება მიიღეს. აი, ისინიც, 2014 წლის ჩემპიონები და ოქროსმედალოსნები: ვალერი ვაჭრიძე-57კგ, არსენ ყარაგვეზაშვილი-71კგ, ხვიჩა ქოქუაშვილი-86კგ, ვერცხლის მედლები ნილად ხვდათ: ლევან ნიკლაურს- 60 კგ, გიორგი ნიკლაურს -63 კგ. და შალვა ხოსიტაშვილს-67 კგ; ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ: ნუგზარ ყარაგვეზაშვილი-63,5კგ (ჭაბუკებში) და დავით ქადაგიძე-75 კგ.



კლუბი "ჩემპიონი" რომ ნამდვილად ჩემპიონთა საჩქედლოა, ამაში დიდი წვლილი გუნდის მწვრთნელს-თამაზ ყარაგვეზაშვილს მიუძღვის. როგორც გუნდის მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ჩემპიონატისთვის მზადება რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. მან ისე გადაანაწილა დატვირთვები, რომ ბიჭები საუკეთესო ფორმამდე მოვიდნენ შეჯიბრისთვის. მისმა აღსაზრდელებმა კი მართლაც ივაჟკაცეს და თავი არ დაზოგეს. მათი შრომა კი მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლესი სინჯის მედლების მოპოვებით დაფასდა. იგი მადლობას უხვდა იმ ადამიანებს, რომლებმაც გუნდს ფინანსური დახმარება გაუწიეს. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების თანხები გადაინაწილეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. „მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს

დაზოგეს. მათი შრომა კი მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლესი სინჯის მედლების მოპოვებით დაფასდა. იგი მადლობას უხვდა იმ ადამიანებს, რომლებმაც გუნდს ფინანსური დახმარება გაუწიეს. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების თანხები გადაინაწილეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. „მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს

ნიკოლოზ ჯანაშვილს,თამარ თამაზაშვილს, დავით გონაშვილს. ასევე, მადლობა კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს, სასაზღვრო პოლიციის უფროს გენერალს-ზურაბ გამეზარდაშვილს და ყველას, ვინც გულთბილი შეხვედრა მოგვინცო თბილისის აეროპორტში“.

ლელა ბილიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სპეციალისტი

შენმა სამ ჯერ ვერ გამოიღარა

(მეხუთე გვერდიდან)
გოთუას და ლევან სანიკიძის შემოქმედებიდან ვიცნობ. გული მწყდება, რომ ერთი მთლიანი მონოგრაფიული კვლევითი კრებული არ გვაქვს ამ დიდი ისტორიის შესახებ. დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ქალბატონმა ლალიმ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ეცადა, ერთ მთლიანობაში წარმოედგინა შერეულის ქარიშხლიანი ისტორია. მე გამაყვება, რომ ერთი ნათელი შერეული მყავს, ხოლო ჩემი დისპილის ნათლიაც შერეულია. ამით რის თქმაც მინდა, დიდი განმარტება არ სჭირდება. პოეტმა თამაზ ნიკლაურმა თავისი დისპილის გელა არაბულის ლექსი წაიკითხა შერეულზე, რომელიც გელამ იქ ექსკურსიაზე ყოფნის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდად, 22 წლის ასაკში დაწერა:“

რადღაც მინდოდა მეთქვა და, თქოს სათქმელი მღწევადა, გული იმისთვის ფეთქავდა, თურმე აქ მოსვლაა... მითების სამოსახლოა, ერთ დროს შეუცნაურად აღწევდა, ახლა ქვეყნა ქაოსად, მე თხი რომ შოთაჯ აქ წერდა, თამარზე „ფუფხისტეაოსანს“... იმ ქვის დაუკუმე მე ახლა, საფლავშიც რომ არ კვდებოდნენ, სოციალურად, მაგრამ ხელახლა, ხელახლა იბადებოდნენ“.

ჯუშუბარ უთრუთაშვილის ლექსი შერეულზე ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომელმა თამარ ლობჯანიძემ წაიკითხა და მერე დამსწრეთ დიდი ემოციის ფონზე მოუყვა სტუდენტობის წლებში მისი მოგზაურობის შესახებ ინგლისური ფოლკლორის შეგრძობების მიზნით.

- არ მეგულება ქართველი, და მით უმეტეს პოეტი, შერეული რომ არ სტკიოდეს. ალბათ, ბევრ ჩვენგანს რაიმე აკავშირებს ამ ძირძველ ქართულ მიწასთან, მათ შორის ვარ მეც. ბედმა მარგუნა ბედნიერება, ჩემი

სტუდენტობის პერიოდში, მემუშავა თემაზე-ინგლისური ფოლკლორი (იმ დროს შერეულს ნაკლებდ ხმარობდა ვინმე). გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები იყო, ურთულესი პერიოდი, დახვეწილი საბჭოთა კავშირი, სიბნელი, სიცივე, სიღუჭიერი. საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა მჭირდა, ხშირად ტყვიების კაპანშიც მოვხვედრივარ. ამ თემისადმი ინტერესი ბავშვობიდან მომდევდა, როცა მამა მხატვრულად მიკითხავდა, მეფე ერეკლე და ინგლო ქალის“ ამბავს. იქ რამდენიმე თვე ჯანაშვილების ოჯახში ვიცხოვრე, სოფელ ქოთოქლოში. ეს იყო ოჯახი, რომელმაც ქრისტიანული ეკლესია ააშენა. იქ ბევრი ჩემი მოგვარე-ფოლადაშვილი ცხოვრობდა. ხანდაზმული ადამიანებისგან შევაგროვე ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები, გავეცანი მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ისინი გამართლად საუბრობდნენ ძველ-ქართულად. სტუმარ-მასპინძლობაც საუცხოო იცანა. სულ მეფურეობდნენ და თან დამეყვებოდნენ. იქ შევხვდი ერთ საუკეთესო ფოლკლორის მცოდნეს პედაგოგ ნოდარ ფოლადაშვილს. მან დიდი დახმარება გამიწია და მადლიერების ნიშნად მაჩუქა მოსე გიორგის ძე ჯანაშვილის უნიკალური ნიგნი „საინგლო“, გამოცემული 1910 წელს, რომლის ბოლოთქმამი ვკითხულობთ: „...შეგვკრიბე

და შევიმუშავე მთელი ალბეჭდილი მასალა შესახებ საქართველოს იმ განაპირა ალმოსავლეთ კუთხისა, რომლის მკვიდრთ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წმინდა გმირულ ბრძოლით დაიცვეს იქ თავისი ხალხისნობა, ენა და სარწმუნოება. ამასთანავე, მადლობას მოვასხენებ „ძველ საქართველოს“ რედაქტორს-ბნს ექვთიმე სვიმონის ძეს თაყაიშვილს და მის მახლობელ თანამშრომლებს, რომ საქართველოს ყოველმხრივი შესწავლა დაიწყეს ჩემ სამშობლო მარად მზიან საინგლო-დამ“. მ. ჯანაშვილი. ეს ნიგნი ჩემთვის საოჯახო რელიქვიაა. ვილოცოთ და ვიოცნებოთ, რომ როდისმე შერეული დაუბრუნდეს საქართველოს, - თქვა თავის გამოსვლაში თამარ ლობჯანიძემ.

სამადლობლო სიტყვები წარმოთქვეს **პაქოსი ბაირამაშვილი** და **ნაილი კოსიაშვილი**.

ელისო ბაირამაშვილი კახში დაიბადა და გაიზარდა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა თურქული ენის განხრით. დიასახლისია, თავისი სპეციალობის სპეციალიზაციიდან გამომდინარე, საკუთარ ცოდნას რეალიზებას ვერ უკეთებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

- დიდი მადლობა მონვევისა და ამ თემის წარმომჩენისათვის. მეამაყება, რომ შევიწარმუნეთ ენა, რწმენა და გადავრჩით. გული მწყდება, რომ ქურუმების წმ.გიორგის ეკლესიაში ქრისტიანებთან ერთად მუსულმანებიც ლოცულობენ და მიიწვევენ, რომ ეს ეკლესია არა ქართული, არამედ ალბანურია, რაც აშკარა ტყუილია, - თქვა მან.

ნაილი კოსიაშვილიც კახის რაიონიდანაა, სპეციალობით იურისტი, ადვოკატად მუშაობს. ჰყავს ორი შვილი.

- ჩემი სოფელი ალათეური. აქ ყველა ტრადიცია, ენა და სარწმუნოება ქართულია. ყველა სახლის სახურავზე ჯვარია გამოსახული. იქ არავინ გაჰყვება ცოლად და არც მოიყვანს გარდა ქართველისა, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ სხვა სოფელზე. თუნდაც ლაგოდეხიდან ზაქათალაში ძალიან ბევრი ქალი გათხოვილი აზერბაიჯანელზე, რაც ჩემთვის მიუტეველია. საერთოდ კი, საქართველოში ადრეც და ახლაც ხელს ძალიან გვიწყობდნენ. ჩვენთვის უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდა ლიმიტები, ბევრი ახალგაზრდა დღესაც ლებულოს განათლებას საქართველოში. მაგრამ ადგილზე მდგომარეობა რთულია. საჭიროა, საქართველოს მთავრობამ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს შერეულის მიმართ, რათა იქ ქართული სული არ მოკვდეს. უადრესად კმაყოფილი ვარ დედოფლისწყაროს 25 წელია, დედოფლისწყაროში ვცხოვრებ და პირველი შემთხვევაა, როცა მოგვინვიეს და ჩვენი ცხოვრებით დაინტერესდნენ,-აღნიშნა ქალბატონმა ნაილიმ.

შეხვედრა შევაჯამა მუზეუმის დირექტორმა **ლალი ბურაშაშვილმა**. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და კვლავაც საინტერესო ღონისძიებების მოწყობას დააირდა.

გიორგობა კარს მოგვადგა. ყველა ქრისტიანს ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. ტრადიციულად შერეულში აღნიშნება ეს დღე წმინდა გიორგის მადლი გვეფარავდეს. უფალმა იწმინდა და ჩვენ კვლავ ერთ მთლიან და ძლიერ ქვეყანად გვაქციოს, რათა გამოიდაროს შერეულის ცაბაც.

ლუკა ქისტაური ხუთგზის ჩემპიონია



ჩვენს რაიონში ჩოგბურთის განვითარება 15 წლის წინ დაიწყო. და დღეს უკვე გვყავს პრიზორები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წლებანდელი ნელი, რომელიც ილბიანი აღმოჩნდა ლუკა ქისტაურისათვის, რომელიც უკვე ხუთგზის ჩემპიონია. აპრილის თვეში იგი ორჯერ გახდა ჩემპიონი. პირველად საქართველოს ლია პირველობაზე, მეორედ თუხარეულის მემორიალზე. მესამედ ე. ნურბაშვილის მემორიალურ პირველობაზე მეთოხედ თ. კაკულიას სახელობის თასზე. და ბილოს ალექსანდრე მეტრეველის თასზე, რომელიც გამორჩეული და ერთ-ერთ ძლიერ ტურნირად ითვლება, რაც ყველაზე საამაყოა, მან ფინალში დაამარცხა ლილა მესხის აკადემიის აღსაზრდელი ანგაროშით ნ.2. მან შანსიც კი არ დაუტოვა მესამე სეტისთვის.

წლებანდელი ნელი განსაკუთრებული იმიჯი არის, რომ 2015 წელს საქართველოში ტარდება ახალგაზრდობის ოლიმპიადი, რომლისთვისაც დიდი მზადებაა. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ოლიმპიადაზე გამოსვლაა. უსუსურვით ლუკას და მის მწვრთნელებს ვაჟა ლა ლაბავრა ანდრიაშვილებს წარმატებული გამოსვლები.

იყიდება!
იყიდება 6 კვ. მ. მუხის ახალი პარკეტი თავისი ფიცრით, 1კვ. მ. ფასი 25 ლარია. მსურველები დაგვიკავშირდით.
☎ 599 35 76 97.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	ს	ტ	ყ	რ	ო
ორშაბათი 24.11	სამშაბათი 25.11	ოთხშაბათი 26.11	ხუთშაბათი 27.11	პარასკევი 28.11	შაბათი 29.11	კვირა 30.11							
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე						
☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁						
4°	2°	1°	0°	2°	1°	3°	-2°	4°	3°	0°	-1°	-1°	-2°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგო შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინაშვილი , ილია მარტყოფლიანი (ყურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათია გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნინო ჰანაშვილი (ფოტო-მწერელი) ; მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონისის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	---	---